| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი


ნატალია კონსტანტინეს ასული ბაბალოვისა, იაგუნდა ქრისტესას ასული ბაბალოვისა და ივანე სტეფანეს ძე ბაბალოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას თვისისას, მეორე—შვილისას და მესამე—ძმისას ელიზბარ სტეფანეს-ძის ბაბალოვისას ქ. გორში და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 7 ამ თვეს მიცვალებულის სახლში, საიდამაც დილის 10 საათზედ გაასვენებენ ცხედარს ყოვლად-წმიდის ეკკლესიაში წირვის მოსასმენად. (3—2)

**კავკასიის სამეურნეო საზოგადოება** მოიწვევს ბ-ნ წევრთ მორიგ კრებაზედ, რომელიც დანიშნულია პარასკევს, მარტის 6-ს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე.

საგანნი განხილვისა:

1) საზოგადოების საქმეები; 2) მოხსენება ბ-ნ გ. ა. დინგელშტეტისა: ჩაის მოყვანა ინდოეთსა და ამიერ-კავკასიაში. 3) მოხსენება ბ ნ ნ. ნ. ტარატინოვისა: მოყვანა ბამბისა ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში და ამიერ-კავკასიაში.

კერძო პირთ—არა-წევრთაც შეუძლიანთ დასწრონ საზოგადოების კრებასა. (1—1)

ტფილისი, 5 მარტი

ევროპაში არამც თუ ყურადღებას აქცევენ, რომ ყურძნის მარცვალს კლერტი მოაშორონ და ისე სწურონ და დაადუღონ ღვინო, არამედ ზოგიერთს სახელოვანს ვენახში დაკრეფის დროს ზედ-მტევანზედვე მაკრატლით ამოსჭრიან ხოლმე გაფუჭებულს და დაგოლვილს ყურძნის მარცვლებსა წინადვე, მინამ დაჰკრეფენ დასაწურავად. ჩვენში ბალღიც არ მოიპოვება ისეთი, რომ არ იცოდეს, რა კარგია ღვინისათვის გადარჩევა ყურძნისა. და თუ ყურძნის გადურჩევლობას ვინმე ცოდვად გვითვლის, ეს ჩვენს უვიცობას, არ ცოდნას არ უნდა მიეწეროს. აქ სხვა მიზეზია და დიდად პატივ-სადებიცა. ეგრედ გადარჩევა კარგა დროს, ჯაფასა და ხარჯსა ჰთხოულობს და ჩვენის ღვინის ფასი კი დღევანდელს ბაზარში ისეთი დაბალია, რომ უამისოდაც ძლივს აყენებს საზოგადო ხარჯსა, რაც მაგის გარდა ღვინის კეთებას უნდება. რასაკვირველია, მაგისთანა ჯაფას და ხარჯსა არ მოერიდება, მაგალითებრ, შატოდიკების პატრონი მარკიზი ლურ სალუსი, რომელსაც ბოთლი ღვინო თითქმის ოთხხუთ მანათად უსაღდება.—ამისთანა ფასი რას არ შეაძლებინებს კაცსა! აკი ესეც არის. ამ მარკიზის ვენახში უფრო შორსაც მიდიან, მაგალითებრ, თვითეულ მტევანისაგან მარტო დამწიფებულ და კარგად შემოსულს მარცვლებს ჩამოაცლიან ხოლმე და შემოუსვლელს ზედ-ვაზზედვე დანარჩენის მტევნით სტოვებენ დასამწიფებლად. მოდით და ამის მნახველმა უსაყვედურეთ ჩვენებურს ღვინის მკეთებელს, რატომ შენც ასე არ იქცევი-თქო. აბა ოთხისა და ხუთის მანათის მაგიერ ბოთლში ერთი მანათი მაინც აღუთქვით ჩვენებურს მკეთებელს ღვინისას, თუ ამანაც თავისი ცოდნა ყურძნის გადარჩევის თაობაზედ საჭიროდ არ დაინახოს და საქმეში არ გამოიყენოს. საქმეში არ-ხმარებული ცოდნა უცოდინარობას არა ჰნიშნავს. ვინ არ იცის ჩვენში, რომ გადარჩევა ყურძნისა კარგია და უფრო უკეთესია მარცვლეულად დარჩევა თუნდ მარკიზ სალუსისამებრ! მერე სარფაა, ხეირია ჩვენში ეგეთი მძიმე და ძვირი ჯაფა და გარჯა! თუ ამ ცოდნის საქმეში გამოყენება ზარალის მეტს არას მისცემს კაცსა, რადგანაც ამ შემთხვევაში ღვინოს სიძვირით არავინ მიეკარება, ჩვენში ვინ ოხერი იქნება თავისი ქონება ზედ გადააყოლოს ღვინის კეთებასა, რომლის საეკონომიო მნიშვნელობა მარტო სარფა და გამორჩომაა და სხვა არარა.

ყურძენი, რაკი მოიკრიფა და გადირჩა, შეძლებისამებრ, დასაწურავად მიდის. ამისათვის ჩვენში ან ხის ნავია, ან ქვითკირის საწნახელებია, კარგად გალესილი. ევროპაში სხვა გვარი საწნახელებია. იქ ფიცრისაგან შეკრულია ერთი უშველებელი ოთხ-კუთხიანი უჯრა, რომელსაც ოთხ-კუთხივ გვერდები ამაღლებული აქვს. როგორც ჩვენში, ისეც ევროპაში ამ გვარ საწნახელებში ფეხითა სწურვენ*). იქნება ფეხით წურვა, რომელიც ჩვენში ყველგან ხმარებულია, სასაცილოდ აიგდონ! მართალია, ევროპაში ყურძნის დასაწურავად ეხლა საქაჯავსაც (прессъ) ჰხმარობენ, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ აძლევს ჩვენებურს მეცნიერს ცხვირი ზევით აიწიოს. ჯერ ხომ თვითონ ევროპიელნიც ბევრგან ფეხითა სწურვენ და მამასადამე, იქაც ისე ყოფილა. ამას ჩვენი მეცნიერები ევროპიელებს ვერ გაუბედვენ, მეტად თვალ-სახინო, ტყუილი იქნება. მეორე ისა, რომ თვითონ მართლად მეცნიერნი ევროპიელნი ამტკიცებენ,—ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობნის საქაჯავით წურვასაო. იმათის სიტყვით, ფეხით წურვისაგან უფრო თანაბარად ისრისება ყურძნის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი, კურკა ყურძნისა არ იჭყლიტებაო. საქაჯავს უამისოდ ვერას გზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა-კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო. ეს ფეხით წურვა ზოგიერთ ღვინით-გამოჩენილს ადგილებში ისე პატივ-ცემულია ევროპიელთაგან, რომ პირველ მტევნებს ვენახის პატრონს-ქალს მიართმევენ ხოლმე და იგი მოურიდებლად ხალხის წინაშე გაიხდის ფეხსაცმელსა და საკუთარის ფეხით სწურავს მორთმეულს ყურძენსა. თუმცა ესეა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში ყველა შემძლებელი კაცი ჰყიდულობს საქაჯავსა მარტო იმის გამო, რომ საქაჯავით უფრო მალე, უფრო უხარჯოდ იწურვება ყურძენი. საქაჯავები ჩვენში დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ ხალხი არა ჰხმარობს პირველ დაწურვისათვის; მხოლოდ ფეხით ნაწურ ჭაჭას გაატარებს ხოლმე საქაჯავში დანარჩენის წვენის გამოსაწურავად. მართალია, ჩვენებური საქაჯავი ისეთი ოსტატური არ არის, როგორც ევროპიული, მაგრამ არც ისე ძვირია, როგორც იქაური. აშკარაა ჩვენშიაც სცოდნიათ, რომ შეიძლება წურვა საქაჯავითაც და ერთი ვიკითხოთ: რატომ საქაჯავით წურვა არ დაუწყვიათ? ვსთქვათ, ევროპიულს საქაჯავს იმიტომ არა ჰხმარობენ ჩვენში, რომ ძვირია, ან მოხმარება არ იცის ჩვენებურმა კაცმა, რატომ შინაური საქაჯავი მაინც არ უხმარიათ, — ეს ხომ არც ძვირია და არც ძნელი მოსახმარებელი? სჩანს ამას სხვა მიზეზი აქვს და იმ მიზეზთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს მას, რაც ფეხით წურვის სიკეთეზედ ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. აქ ხარჯი, სისწრაფე მუშაობისა კიდევ იმისათვის შეუწირავს ჩვენებურს კაცსა, რომ ღვი-

*) მოიწვევენ ხოლმე მემუსიკეთა, რომელნიც საცეკვავს უკრენ და მუშები საწნახელში, შიშველა ფეხით ჩამდგარნი, ჰცეკვაობენ და ამ სახით შეექცევიან კიდეც და საქმეც კეთდება.

# ფელეტონი

## მეველე

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდგან)

(დასასრული*)

### III

გაიგო თუ არა ტატემ თავის შვილისაგან, რომ ჭალაში საქონელი შეუშვიათ, ელდა ეცა, ეწყინა, რომ ხალხი თავის პირს გადავიდა: „ჭალას ენკენისთთვის ნახევრამდის ხელს ნუ ვახლებთ, ბალახი დავზოგოთო, რომ ზამთრის პირამდის იოლად წავიდეთ და სხვა საჭმელი არ დასჭირდეს საქონელსაო“. ეწყინა უფრო იმიტომ, რომ მამასახლისიც შემწეობას შეჰპირდა, თითონაც არა ერთხელ და ორჯელ უქნია ჩხუბი თავის მოძმესოფლელებისათვის, რომ, კაცო, ნუ ხართ ორ-პირები, ერთმანერთის მოღალატე და დამღუპველნიო, მაგრამ ვის ესმოდა! მაშინ ყველა თავს დააკანტურუშებდა და ასრულება კი ავიწყდებოდათ.

უთხრა თუ არა შვილმა, რომ ჭალაში საქონელი შეუშვიათო, იმ წამშივე გაჰქანდა ბუტბუტით მეველე ამხანაგებთან.

— ტიპრა, ბიჭო, ტიპრა! კარზე გამოიხედე! ჩასძახა ამხანაგს, რომელიც ჯამს მოსჯდომოდა და ის იყო ლუკმა დაატრიალა ამოსაღებად. მეველემ ლუკმა გააგდო, თითები ლოკვით ჩაიწუწნა და ერდოს შემოხედა.

— რომელია?.. ბიჭო, ტატე, შენააა?

— გამოიხედე-მეთქი კარზე, შე პირკომლ-გასაწყვეტო, თორემა...

— ჯვარი სწერია, ჯვარი, რო ამას არა სტკენოდეს-რა, შე სისხლის გუდავ, შენა! მოგიარა სამთვარიომა!? ამოსძახა დარბაზიდამ ტიპრას გულდამწვარმა დედამა, რომელსაც ოთხს ქალში ეს ერთი ვაჟი ებადა.

— მარიამავ, დედა-კაცო, რა შენი საქმეა, რო... აქ გამოდი-მეთქი, კაცო! მეველე არა ხარ შენცა, ჰა? მითხარ ერთი და?..

— რამ გაგაგიჟა, კაცო! რა გალრიალებს... მერე რა არი, რო ვარ...

— ღმერთმა ნუ იცის ჩვენი თავი და ი ჩვენი დამყენებლებისაცა, დაიწყო კვლავ ტატემ ხმა-მაღლივ ყვირილი; ახლო-მახლო მეზობლები მოცვივდნენ. კაცო, შვილო! მეველებად ვინ დაგვაყენა? სოფელმა არ ამოგვირჩია, ის არ გვაძლევს ულუფასა, ჰა? რათა, რიჰთვინაო, ჰა? იმითვინა, რო თვალ-ყური ვუგდოთ მინდორველსა, ჰალა-ვენახსა. სუ ხო მე ვერ ვიელი, დღეს შენი და გაბლიას ჯერი იყო, უნდა გველოთ მინდვრად, უნდა!.. კაცნო, მიუბრუნდა ხალხსა, უენონი ხო არა ხართ? ხმა ამოიღეთ შვილოსა და! შემოდგომა კარზე გვადგა, აგერ ზამთარიც შემოგვიტევს და თეთრ ქარს ააყენებს; საქონელი კალიასა გავს თურქულის გადამკიდე; მინდორში ხო ბალახი აღარ მოიძებნება; ე ჭალა-ღა დარჩა, შვილოსა; ვსთქვით, რომ ზამთარი პირამდე იქ შევიოკებთ საქონელსაო...

— მერე და ი დალოცვილი, რა ბალახიაა! სწორედ ძუძუზე სცემს ი ძრუწა და ხბო-შუბლაი!.. სთქვა ერთმა გლეხმა...

— ჰო და რო სცემს, იმიტომ აჭმევთ უსწორ-მასწოროთ საქონელსა? ჰა ე?..

— მეველე შენა ხარ და ჩვენ გვიყვირი, უთხრეს ხმა-მაღლა მეზობლებმა.

— მეველე რო ვარ, ბიჭო-შვილო, თქვენც უნდა მხარი მამცეთ. ათასად ხო ვერ გავიჭრები: ერთგანა ვარ, მეორედგან აღარა, მეორედგანა ვარ, მესამედგან აღარა. მგელს რა გაიმაგრებს, მარტო ძაღლი რას უზამს, თუ მწყემსიც შემწე არა ჰყავს. ე ძაღლი ვთქვათ ჩვენა ვართ, მარა ე მწყემსიღა? მწყემსი მთელი სოფელია, ყველამ უნდა ყური უგდოთ, თქვენ უნდა ჩაგვაგდოთ ჩვენა გულის ხმაში, როცა რომა წრეს გადავალთ და დავაშავებთ რასმესა... იმას ვამბობდი: ბიჭო, შვილო, ე უპირულობა რა არი: სოფელმა არ დავსდეთ, რომაო ენკენისთთვემდის ჭალაში საქონელს ნუ შეუშვებთო? ჯერ ერთი ესა, რომა სიმინდი მოსაჭრელია; მეორე, რომ ბალახი დაიზოგება და შემოდგომის ღამის ხარითვინ კაი ღვთის წყალობა იქნება...

— მერე ტატე, ვის შეურეკია? ჰკითხა მეველე ტიპრამ და მიწაზე დაბჯენილს კომბალს ზნექა დაუწყო. ტატემ ყური არ ათხოვა.

— სად არიან ამხანაგები? გაბლიას დაუძახე ერთი; ი ფეხებს რო ძლივს დაათრევს და ძილით რო კვდება... ვოჰ შიმე! სოფელია ესა, სოფელია?!!. ისეთი ამხანაგები მყავს, რო ჩხირის გადაბრუნების მოხერხება არა აქვთ.

ტიპრა გაჰქანდა და რამდენგან გადააწყდა ხერგებს ბნელაში და შეუკურთხა ტატესა, ვინ მოსთვლის; შეჰყარა ამხანაგები; ისინი გაშრნენ: გაბლიამ კისერი მოიქექა, აიჩლიავა კომბალი და მალ-მალ წამოიძახებდა გაუკვებარს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს და სიტყვებსა:

— ჰა, ბიჭო,.. ახლა ი და ი ტატეი... ჰა?.. ეტყობოდა სიტყვას ველარ ახერხებდა, რაკი იცოდა, რომ ტატეს ხალხი შეყრილიც ეყოლება და ძალიანაც შესთათხავდა. მოვიდნენ ტატეს ამხანაგები ხალხთან.

— ხალხნო, საღამო კარგა ყოფნისა, წაიბუტბუტა გაბლიამ, თავი ჩაჰქინდრა და ცხვირზე ხელი მიისვ-მოისვა.

— ეგრე, ეგრე, შვილოსა! ერთ-ორს ვაჭამოთ მთელი სოფელი, ერთ-ორსა; რადენა და ფიდო გვეყოფიან არა მთელ სოფელსა! იმიტო არა ვართ, რო ყური ვუგდოთ მოსავალს, ჰა? მა რის მეველეები ვართ, თქვე ოჯახ-ქორები!

— ეე, ტატე, ახლა აცა, დაიცა და! ეგრე რო შეყირავდები ხოლმე, შენ თითონ კი ნახე, რო რადენასა და ფიდოსა ჰყავდათ საქონელი? ჰკითხა ერთმა მეზობელმა.

— რა საჭიროა, ძმაო, ი წმინდა ელია მრისხავდეს, ი კუბოს ღვთიშობელმა ამომწყვიტოს, თუ ჩემი თვალით არ მენახოს კვლავაც იმ ალაგას ნაფეხური, საცა ჩემა შვილმა მითხრა. აი, როგორც შენ ემ საათში გხედავ, ისე ენახე ნაფეხურები ჩემის ბაგის გვერდზე; განა რამდენჯერ? რათა, შვილო და ძმაო, ერთი და ორი რათ უნდა ჰბრიყვობდეს მთელ სოფელსა! პირი პირია: გვითქვამს, გავიაროთ ერთ პირზე. ნუ დავებრიყვებით ნურავისა, ნუ!

მეველეები ბუტბუტით წავიდნენ ჭალაზე, საქონლის ამოსარეკად; ტიპ-

*) იხ. „ივერია“ № 46.

ნოში წიპწის იოტიც არ გაერიოს, ესე იგი, სხვა გარეშე რამ. ამას ძალიან ერიდება ჩვენებური ღვინის კეთება, როგორც წინადაც ვსთქვით, და ეს შიში და სიფრთხილე თანასაგრძნობელია.

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ამ ჟამად ნამდვილი გაზაფხულის დღეები სდგას. აგერ თითქმის მთელი კვირაა, ცა მოწმენდილია, მზე მშვენივრად ათბობს ჰაერს და საამური დილა და საღამოებია. ტფილისის ახლო-მახლო, გარშემო მთებზე თოვლი ალარსად ალარა სჩანს, მტკვარი თან-და-თან მატულობს და იმღვრევა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში ერთს ოჯახში აღმოჩენილა ფრიად საინტერესო ხელთ-ნაწერი, რომელიც საკმაოდ ძვირფასს მასალას თურმე წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ისტორიისათვის. ეს ხელთ-ნაწერი დღიურივით არისო, იწყობა ამ საუკუნის დამდეგიდამ, სახელდობრ, 1820—22 წლიდამ და თავდება 1850—60 წლამდეო. ავტორს უწერია განუწყვეტლივ ყოველ ცისმარე დღეს თავრიზის ქალაქში და უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი ამბავი, რომელიც-კი მომხდარა იმ დროს ან სპარსეთში და ან რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში.

*** ბ-ნი ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ წინამძღვარიანთ სკოლის მზრუნველთა სახელით დიდს მადლობას ვუძღვნი ბ-ნს ს. მგალობლიშვილს და სხვათა, რომელთაც გაჰმართეს წარმოდგენა გორში და ზემოხსენებულს სამეურნეო სკოლას გამოუგზავნეს წარმოდგენიდამ შემოსული ფული 39 მან. და 48 კაპეიკი. მადლობას ვწირავ აგრეთვე ბ-ნს ვ. აღნიაშვილს, რომელმაც უძღვნა იმავე სკოლას ქართულ ხოროსაგან დაბეჭდილი ნოტების, სახელდობრ, „ალილოს" ათი ცალი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილს ხელი მიუყვია და ადგენს ქართულად ვრცელს წიგნს ღვინის კეთებასა და ვენახების მოვლაზე სხვა-და-სხვა საუკეთესო აგრონომების თხზულებათაგანაო.

*** დაიბეჭდა ერთს წიგნად და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად ორი მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა: ცვრევაზე და დიდ ზალაში. ფასი ამ წიგნისა 10 კაპ. იქნება.

*** გუშინ, 5 თებერვალს, რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში.

*** წარსულმა ზამთარმა და იანვრისა და თებერვლის თოვლმა, უამინდობამ დიდი და ბევრ-გვარი ზარალი მისცა ჩვენს ქვეყანას. ბევრგან დაარჩო კაცები ნამქერმა და კორიანტელმა, ბევრგან გაამრავლა მშიერი და ცოფიანი მგლები, რომელთაც რამდენიმე კაცი დაჰგლიჯეს და დაცოფეს.

*** აი რასა გვწერენ შორაპნის მაზრიდამ: ხარაგაულში დიდი თოვლი მოვიდა, გარედ ვერ გამოვდიოდით და დღესაც გვიჭირს გამოსვლა. ზანებიდამ თოვლის გადაყრას ველარ ავუვედით. შეშა ისე დაძვირდა, რომ ხეხილსა ვსჭრით ბაღებში და იმასა ვსწვამთ. აღარც ლობესა ვზოგავთ, აღარც მარხილსა და აღარც აღარაფერს. საქონლის საკვებიც შემოგვაკლდა და ძალიან დაძვირდა. ვისაც ან ჩალა ან სხვა საკვები აქვს კიდევ, ან ჰპარავენ, ან ძალადობითართმევენ.

*** იქიდგანვე გვწერენ: უამინდობამა და დიდმა თოვლებმა ბევრი ქალი და კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს. ზოგი ისე კვალ-წმინდად დაიკარგა, რომ დამარხვაც აღარ ჰღირსებია. 16 იანვარს დაიკარგა უამინდობის გამო გლეხი ივანე დათუნაშვილი და დღემდინაც ვერ იპოვეს იმისი გვამი, თუმცა 15 თებერვლამდე 60—80 ნიჩბიანი კაცი ეძებდა თოვლში დაკარგულსაო.

*** გაზ. „კავკაზს" სწერენ ქუთაისიდამ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს აღარ გადაახდევინოს ხოლმე სვანეთის მცხოვრებლებს არყის გამოხდის ბაჟი, რადგან სვანეთში ისეთს არაყსა ხდიან, რომ ბაზარში იმისი გაყიდვა არ შეიძლება, ისე მდარეაო. მხოლოდ თვით სვანებმა მაინც უნდა იკისრონ, რომ სვანეთში გამოხდილი არაყი არსად არ იყიდებოდეს და თვით გამომხდელნივე ხმარობდნენ თავიანთ გამოხდილს არაყსაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ." ამბობს, რომ ტფილისის მუზეუმს ამ ახლო ხანში ერთი განყოფილება კიდევ უნდა მიემატოს, სახელდობრ, თურქისტანის განყოფილებაო.

*** 3 მარტს, ნიკოლოოზის ქუჩაზე, მე-9 ნაწილში, კაპიტანის ხოლოსტოვის სახლიდამ ვიღაცა ქურდმა მოიპარა ქალის საზამთრო წამოსასხამი ქურქი.

*** 4 მარტს, მე-2 ნაწილში, აზნაური დუშეთის მაზრისა მიხეილ ნათიშვილი სინჯავდა რევოლვერს. უცებ გაუვარდა და ტყვია მარცხენა ფერდში მოირტყა. ნათიშვილი სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

### ამიერ-კავკასიის აბრეშუმის საქმე 1886 წელს.

ამ დღეებში ბ-ნმა ლერასიემ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა თავისი ანგარიში აბრეშუმის საქმეზე წარსულ 1886 წ. ბ-ნი ლერასიე ასახელებს თვითეულად უფრო ცალკეულისავე აბრეშუმის ჭიის ჯიშსა და იმის გავრცელებაზე ლაპარაკობს.

იაპონიის ჯიში:

ახალის აბრეშუმის პარკი ამ წელს ძრიელ ბევრი ისყიდებოდა. წინა წლებში თუმცა აბრეშუმის მოსავალი კარგი არ იყო, მაგრამ ფუთი-კი 6—8 მან. ჰღირდა. წარსულ 1886 წელს ბევრი აბრეშუმი მოვიდა, მაგრამ ფასი-კი მოიმატა, ფუთი ისყიდებოდა 9—12 მანეთამდე. ამ გვარი, პირველ შეხედვით გასაკვირველი, მოვლენა მოხდა იმიტომ, რომ დიდი ოროქლით მომუშავე აბრეშუმის ამომხვევლის ქარხნების პატრონებს უნდოდათ არ მოეცდინათ თავიანთი ქარხანა და ამიტომ დიდ-ძალი აბრეშუმის პარკი იყიდეს. წარსულ წელს ჩინეთში ჭიის ავად-მყოფობის გამო 20% დაიკლო მოსავლმა. უწინ პარკის ჭიის მოსავლავად მეზეზდა ჰფენავდნენ ახალ პარკსა და მზე აბრეშუმის ღირსებას ძრიელ ამცირებდა; ეხლა ბევრს ადგილებში ჭიას ხოცვენ გამთხარის ჰაერითა და ამ გვარად გაკეთებულს აბრეშუმის პარკს უფრო მეტი ფასი აქვს.

წარსულ წელს მთელს კავკასიაში 140,000—150,000 ფუთამდე აბრეშუმის პარკი მოსულა. წარსულის წლის მოსავალმა იმიტომ მოიმატა, რომ იაპონიის ჯიშისა ბევრი თესლი გავრცელდა და ამინდმა და ჭავამაც ხელი შეუწყო. სამ ფუთ ნახევარი ახალი პარკი რომ გაშრეს, ერთი ფუთი დადგება. ამ ანგარიშით წარსულ 1886 წელს სულ 43,500 ფუთამდე მოსული. აქედგან უნდა გამოირიცხოს 22%, ანუ 9,500 ფუთი გაფუჭებული, უვარგისი აბრეშუმის პარკი და აღმოჩნდება, რომ კარგი აბრეშუმის პარკი სულ 34,000 ფუთი მოგვსვლია; მაგრამ ამ გვარად გადარჩეული პარკებიც კი ისე მდარეა, რომ 6 ფუთის გამშრალის პარკიდგან ძლივს ერთი ფუთი ამოხვეული აბრეშუმი დგება, ასე რომ წარსულ წელიწადს ჩვენში 5,600 ფუთი აბრეშუმი მოსულა. უწინ ფუთი გამშრალი პარკი ისყიდებოდა 30—36 მანათამდე, ბოლოს დროს კი 50—52 მან. მართალია, წრევანდელმა მოსავალმა გადააჭარბა შარშანდელს 10—12%-ით, მაგრამ მაინც კიდევ რამდენიმე აბრეშუმის ამოსხვევი ქარხნები დაიკეტა. კავკასიას ყოველთვის შეეძლიან ამაზე ბევრი აბრეშუმი მოიყვანოს. მაგალითად, 1851 წ. კავკასიაში მოსულა 550,000 ფუთი გაუშრობელი პარკი,—ეს იმ დროს, როდესაც აბრეშუმის მრეწველობა ახლად ფეხ-ადგმული იყო. კავკასიას სხვა ქვეყნებ შორის, სადაც კი აბრეშუმის მოყვანას მისდევენ, საზოგადოდ, უკანასკნელი ადგილი არ ეჭირება თუ, როგორც რიგია; ყურადღება მიაქციეს ამ საქმეს, მაგრამ ახლა კი კავკასიას სხვა ქვეყნებზე ნაკლები აბრეშუმი მოჰყავს და თითონ რუსეთიც კი იძულებულია სამზღვარ-გარეთიდამ მოიტანოს აბრეშუმი თავის ქარხნებისათვის. 1885 წელს რუსეთს შემოუტანია საფრანგეთიდამ და იტალიიდამ 35,000 ფუთი ამოხვეული აბრეშუმი, რომელშიაც გაუღია 12,000,000 მანათი. წარსულ წელს კი რუსეთს თითქმის 20,000,000 მანათის აბრეშუმი უცხო სახელმწიფოებში უყიდნია მაშინ, როდესაც რუსეთს შეეძლო კავკასიის აბრეშუმი არამც თუ თავად ჰყოფნოდა, არამედ სამზღვარ-გარედაც კი გაეტანა გასასყიდად.

აბრეშუმის პარკი არა ჰყოფნის ჩვენს კავკასიის აბრეშუმის ამოსახვევ ქარხნებსა. მოსკოვის ფაბრიკის ქარხნები იტალიისა და საფრანგეთის აბრეშუმსა ხმარობენ და კავკასიის აბრეშუმის პარკი-კი მარსელში მიაქვთ. სექტემბრის თვიდამ დეკემბრამდე გაუტანიათ ჩვენის ქვეყნიდამ საფრანგეთში სულ 500 ცალი აბრეშუმის პარკი, ანუ 2,500 ფუთი. ამ გვარის უწესოების მოსასპობლად, ბ-ნ ლერასიეს ფიქრით, ჩვენის ქვეყნიდამ გატანილ აბრეშუმს ბაჟი უნდა დაედოსო.

(შემდეგი იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქვედა-აჭარა*), 27 თებერვალი. შემოდგომიდამ დაიწყო საშინელი ქარე-

*) გბეჭდავთ ამ წერილს ზოგიერთის მხრით საყურადღებოს ისე, როგორც მოგვივიდა. რედ.

---

რას ბანზე დარჩა ხალხი და ტატეც იმათთანა; შეექმნათ ლაპარაკი ამ მთისაზე, იმ მთისაზე; ზოგმა სეტყვა და ნიაღვარი მოიგონა, ზოგმა გვალვა და თურქული, მაგრამ ტატე წაიყვან-წამოიყვანდა და ქალაზე ჩამოაგდებდა სიტყვასა.

— არა, ტატე, რა საჭიროა! რო ეს სოფელი, ძმაო, ამოსავარდნია, რო ერთმანეთის შური და მოჯიბრე ხალხი ვართ, მაგაში ეჭვი არ არი. ჩვენ ერთმანეთს არა ვზოგავთ და საქუა მედუქნე რა გავამტყუნო, რო არ დაგვზოგოს, უთხრა მეზობელმა.

ამ დროს შემოესმათ გაჩქარებული ფეხის ხმა, ჯოხის რაკუნი, რომელსაც ხან მიწაზე მოათრიკიალებდა; მომავალი მალი-მალ ახრანტალებდა და ვიღაცას მოელაპარაკებოდა. ხალხმა ხმით იცნო გუთნის დედა რაჟდენა ფერაძე და თავები მიიღეს. მოვარდა რაჟდენა გაცოფებული, გული ასდიოდა-დასდიოდა და ყელში სიბრაზით მორჩილი ხმა უწყდებოდა.

— რა იქნა ი ყვითელი, ისა! ი აკლდამსავით რო ჩამომხმარა. და რომ დაინახა ტატე, მივარდა:

— არა, შე ავყიავ, ავყიავ! ჩემზე გამოიჩინე ბიჭობა? სადა ხარ ლობე დაბალოვო. შვილოსა ბრმა გქონდა ე თვალები? მარტო ჩემი გუთნეული ნახე? თუ არა და მე ხო ქალაში არ შემირეკია...

— რას ამბობ, კაცო, ნაფეხურები ვენახე-შუაქი და ეხლა შენი გუთნეულიც უნახავთ. კარგა გაიგე, ყურები კარგა გამოიჩიჩქნე, რო შენ არ ეყოფი სოფელსა, არა!

—ჰაჰაი, სისხლის გუდავ, სისხლის გუდავ, შე რჯულ-დავარდნილო? ფიდოს რო ჩუმ-ჩუმად დაუდის ყოველ საღამო საქონელი, იმას ხმას არა სცემ და მე კი მეხივით დამეცი. გეშინიან განა? მთელ სოფელში, შვილოსა, ი ერთ კაცს მუჭში უჭერიხართ, და როცა ჩემისთანას მოასწრობთ, წიხლს აჭერთ!.. რატომ იმაზე ხმას არ იღებ, ჰა, მითხარ ერთი!...

ამ ჩაკითხვამ ცოტა არ იყო კბილი მოსტეხა, შეაჩერა ტატე. „აი დალახვრა ღმერთმაო, იფიქრა ტატემ, რატომ ვერ ვიგებ, თუ ფიდოს მუდამ საღამოზე დაუდისო." ხალხში აქა-იქ წაიბუტბუტეს:

— მე და ჩემმა ღმერთმა, რაჟდენა მართალს ამბობს.

— თუ მე არ ვეყოფი, შვილოსა,— კვალად განაგრძო რაჟდენამა,—არც ისა, ი ფიდო ეყოფა მთელს სოფელსა... ჯერ გაიგე და მერე ისე ატეხე შარი და შარამათი... ქალაზე დღეს გუთანი მება, ი მარმარა ღელეზე... აი გარდი-გარდმო მიწა რო მაქვს, აი სწორეთ იქა... მზე რო დაიწვერა, ხარი გამოუშვით და იქვე ღელის პირას, ხნულთან, მეხრეებმა წააძოვეს, მინამ სერზე გაჰრეკავდნენ... ვაი, შენ ჩემო თავო, და განა მე ქრისტიანი სული არ მიდგა, რო...

— მა და! წამოიძახა ხალხმა.

ამ დროს მოისმა ლაპარაკი, სიცილი: მეველეები მოლაპარაკობდნენ, ეტყობოდათ, ვერა ენახათ-რა და სიხარულით, რომ პირ-ნათლად გამოვლენ ხალხთან, ენა ამოედგათ. დაგილონდეს მტერი, ტატე დალონდა, ცივმა ოფლმა დაასხა და საქოჩრიდამ კოჭებამდე ცხელმა ჟრუანტელმა ელვასავით გაურბინა.

ტატე სირცხვილეული დაბრუნდა შინათკენ, მაგრამ თავი ინუგეშა იმ ფიქრით, რომ „მე ხომ განგებ არ მოვახდინე ეს ამბავიო; მე სოფლის გულისათვის ჩავიდინეო; მაგრამ ეს ოხერი, ი ფიდო როგორ, როგორ გამომეპარაო; სუ ეგრე ჰყავს დაბრიყვებული ქვეყანა; სუ ეგრე სოფლითა ცხოვრობს, სუ სხვის ცარცვითაო და ერთხელ კი კრინტი რა არის, კრინტიც კი არ დამიძრავს იმაზე ხალხშიო: შეგირცხვა, ჩემო თავო, ნამუსი, შეგირცხვა!"

ამ ფიქრებით მიწვა დერეფანში ბოძთან სასთუმალზე და განიზრახა, რომ ლაგამი ამოედო პირში იმ სოფლის ამომგდებ კაცისათვის, სოფლის მაზარალებელის და საშიშის კაცისათვის, რომელსაც ფიდოს უძახდნენ და რომელმაც ის ხალხში შეარცხვინა. მიეძინა ამ ფიქრებში; გამოღვიძებისათანავე გაახსენდა თავისი უხერხული საქმე და ტანში მომცივანივით გააჟრჟოლა.

### IV

შემოდგომის დილა იყო და ქინქლავდა; დღე მზიან-ღრუბლიანი იყო: წამს დაღრუბლავდა, წამს გამოკაშკაშდებოდა და ქვეყანას გაასპეტაკებდა და გააბრწყინვებდა ხოლმე. ამ დილას ორი კაცი გამოსულიყო სოფელს გარედ, სადაც, კარგა მოშორებით, განმარტოებით, ერთს პატარა კორომზედ, იდგა პატარა საყდარი; საყდარი ჟამთა-ვითარებისაგან დაფუცუნებულიყო, ჩაშლილიყო; გარს ეხვია ტყემლის ხეები და ერთი ზედაც ამოსულიყო, ტოტები შეხმობიყო და საყდრის ბანზე ჩაექინდრა თავი; საყდარს გარშემო შემოვლებული ჰქონდა ბამბის ძაფი სარტყელად, ჩამოვარდნილ კართან ეკიდა შანები, წითელ ძაფზე ასხმული სანთლის კაკლები*), პაწაწ-პაწაწა აკვნები და შაქრის ერკემლები. საყდარი შუა ალაგას იდგა და აქედ-იქით საფლავებით იყო სავსე. აი ამ სასაფლაოზე იყვნენ ის ორი კაცი; ჩუმად, შუბლშეკრული აკაკუნებდნენ ბარ-წერაქვსა, ისვრიდნენ მაღლა მიწასა,—საფლავებს ამზადებდნენ. ერთი მათგანი ამოვიდა საფლავიდამ, მივიდა საყდართანა და ჩამოჯდა საფლავის ქვაზედ, კალთაში გამოხვეული პური ამოიღო და ღოღვნა დაიწყო. საყდარს ჯგუფ-ჯგუფად ეხვივნენ ყვავები, დასტრიალებდენ, ნავარდობდნენ, ჩხაოდნენ.

— ე ტიალები ისე ატეხილან, რო კიდე მოკვდება ვინმე ჩვენ უბანში, სთქვა იმან, რომელიც საფლავის ქვაზე იჯდა.

— მოკვდება და ალაგი დაიტევს; ნურავინ მოკვდება, თორე ადგილს კი ვიშოვით, სთქვა მეორე მესაფლავემ, რომელიც მიწას ჰყრიდა საფლავიდამ... ამ ტიალებმა სწორედ შემოდგომაზე იციან ატეხაი, ამ ყვავებმა.

— აკი ხალხიც ეხლა იხოცება; ეგენი რო ლეშს მისდევენ და...

— ოჰ, ოჰ, ოხრობა და გაჲერნება... ნინიკა, ნინიკა! ერთი მიშველე და კაცო!... კაცო, რაღაც აკლდამასავით გამოჩნდა.

ნინიკა მივიდა, ამოიყვანა ამხანაგი; ნასაფლავარი ყოფილიყო, მიწას დაეწია და მესაფლავეს აკლდამა მოელანდა და ეგონა, რომ ეს-ეს არის დავიღუპე და ქვესკნელში ჩამიტანეს მიცვალებულებმაო. ძვლები ამოალაგეს, საფლავის პირას დაახორავეს და საფლავი მოასწორეს.

— ნინიკა, ძაან ღრმათ კი წავიდა აი; ხე, ხე, ხე, აი შენ არ მამიკვდე, ის აქედამ ველარ სად წავიდეს... ეჰეი! დახე როგორ ტრიალი დაუწყეს ამ ძვლებსა ყვავებმა... ავი კაცი იყო და საფლავეც იმისთანა გაუთხარე.

*) ვისაც თვალი სტკივა, იმისათვის დააგორგოლავებენ სანთელსა თვალის კაკლის ოდენად, აასხმენ წითელ ძაფზე და ეკკლესიას შესწირავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და ი ქროლა ხუთს იანვრამდის. გახმა და დაგლიჯა ყოველივე და სახლებზედაც საბურავი არ დაგვიტევა. ხუთს იანვარს კი გათოვდა, მაგრამ იმისთანა, რომელსაც არ მოველოდით. განუწყვეტლად ითოვა სეტყვით და ბუქით; დაბალს სოფლებში გათოვდა ერთი საჟენი და მაღალ სოფლებში კი ორი წილი მეტი. მოგვისპო ყოველივე გზავრობა ქალაქებში და სოფლებში. თითქმის მეზობლისას ველარ გავდიოდით რამოდენიმე დღეს, აჭარიდან ბათუმამდის დიდი სახელმწიფო გზაც დაკავდა, ცხენით გზავრობა არ შაიძლება და ვგონებ მარტის დამლევამდისაც არ გაიხსნება. თოვლიც რომ გადნეს, იმისთანა ჩამოქცეულები არის ახალ ნაკეთებ გზებზედ, რომ თუ მართებლობამ არ მიიღო ზომა და არ გაიწმინდა ცხენის გზა, ისე არ გაიხსნება. აქ რომ რუსის ჯარი დგას, იმასაც პური შამოელია და როგორ უნდა მოიტანოს, არ იციან. ფეხით სასიარულო გზა რამოდენიმე დღე არის რაც გაიხსნა თხილამურებით, თორემ ისიც არ იყო ამოდენ ხანს; ძრიელ დაგვამწყვრია და შაგვაწუხა ამ თოვლმა. მრავალი საქონელიც გაგვიწყდა შიმშილით, რადგან ამისთანა ზამთარს არ მოველოდით; საკვები არა გვქონდა მომზადებული. მაგიერათ დიდ იმედში ვართ აქაური ხალხი ამ თოვლის მოსვლით, რომ კარგი მოსავლიანი წელიწადი უნდა იქნეს, შარშანდელ წელიწადსავით არ დაგვამშევს, რომ ეხლა ჩვენს ხალხს ერთს ბათმანს სიმინდს ვერ უნახავ. მართებლობას-კი ვთხოვეთ, რომ ან სიმინდი და ან ფული მოგვეცეს სესხათ, რომ ცოლ-შვილი შიმშილით არ დაგვეხოცოს, ძრიელ დაგვამშია შარშანდელმა წელიწადმა და თუ მაინც ადრე მოგვეშველა მართებლობის შეწევა, კარგი იქნება.

—

იანვარშიდ სოფელს ჩიქუნეთში ერთს მარტო ხელს იმ სოფლის მცხოვრებს მოლა ქიბარ-კუჩუკ-ალის შვილს, როცა ის არ იმყოფებოდა სახლშით, გაუჩნდა მის სახლს ცეცხლი, დაიწვა სახლი ნალია, მომზადებული მასალა, ნაღდი ფული ორას ოც-და-ერთი მანათი და ყოველივე სახლის მოწყობილება. სულ მოუვიდა საწყალს ზარალი ოთხასი მანეთისა.

—

ამას წინეთ პარასკევ დღეს სოფელს ქედაში იყო ჯამეში მრავალი ხალხი სალოცავათ თავ-მოყრილი. იმ დროს მოვიდა ერთი სოფელ მერისის მცხოვრები ბერ-ოღლი და უთხრა ხოჯას, რომ ას ოც-და-ათი წლის მამა მისი ამ ბოლო დროს ძლიერ დავარდნილი არისო და სთხოვა, ხალხთან ერთათ დალოცეო. ხოჯამ შეასრულა მისი თხოვნა და ხალხთან ერთათ სთხოვეს ღმერთს, ის მოხუცებული ან კარგათ გახადეო და ან მისი თავი აგვართვიო. ნამდვილათაც იმ ღამეს ის მოხუცებული გადიცვალა.

—

წრევანდელმა ზამთარმა უცხო ნადირებიც გვასტუმრა. ამ თებერვლის თუთხმეტს სოფელს ჵამლისში ნახეს ორი ვეფხვი. ერთი იმათგანი მოკლეს იმ სოფელშივე. მიეპარნენ ერთ კლდიდან და ესროლეს ცხრამეტი თოფი და კიდევ კლდეზედ ახტომა დააპირა, მაგრამ მოასწრეს თავში თოფის კვრა და მაშინ კი დაიმორჩილეს. იმისთანა დაიყვირა თურმე, როცა თავში მოარტყეს თოფი, რომ მონადირეები დააზეჩა. მისი ტყავი ცხრა მტკაველ ნახევარი იყო, რომელშიდაც არდგილზედ აძლიეს ოც-და-ათი მანეთი, მაგრამ მონადირეებმა არ გაყიდეს და წაიღეს ბათუმში გასაყიდათ. იმის ამხანაგი მეორე ვეფხვი გაიქცა ბათუმისკენ და, როგორც ამბობენ, ბათუმის სიახლოვეს მოუკლავთ.

—

ჩვენმა ქვედა აჭარის ნაჩალნიკმა მიიღო ბრძანება მაზედ, რომ ბათუმში დარჩა კამანდა, ე. ი. ოთხმოცი კაცი „ნოვობრანცები“, რომელიც მოსულა ბათუმში აქ ამოსასვლელათ, რომ ჯარები შეავსონ და მათვინ ფეხით გასავლელათ გზაზედ ხალხს თოვლი გადაეყრევინეო. ნაჩალნიკმა შეასრულა ბრძანება და გზაზედ ხალხმა თოვლი განიჩფა ოც-და-ორ ვერსტზედ, მაგრამ იმისთანა ბუქი და სეტყვა არის, რომ გზებს ისევ ამოავსებს.

აბდულ მიქელაძე

---

**სიღნაღის მაზრა**, 18-ს თებერვალს. მკითხველ საზოგადოებას, უეჭველია, ეხსომება, რომ ამ ორის წლის წინად სიღნაღში აპირებდნენ დაეარსებინათ საზოგადო „დეპო“. წესდება შეადგინეს და დაამტკიცეს კიდეც. ამ წესდების ძალით, სიღნაღის „დეპოს“ თითქმის მთელის მაზრის ვაჭრობა უნდოდა ხელთ ეგდო. დიახ, ძლიერ პატიოსანი და მეტად მოსაწონი აზრი იყო დეპოს დაარსება, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ სისრულეში მოეყვანათ.

სწორედ გვეძნელება გამოვამჟღავნოთ, რა მიზეზით გაიყინა დეპოს დაარსების საქმე სიღნაღში. საქმე-საქმეზედ მოყვანილი მხოლოდ იმიტომ მიუჩდა, რომ არ აღმოჩნდა ჩვენში იმისთანა ღვთისნიერი კაცი, რომელსაც ეკისრნა, წევრთაგან მოეკრიფნა საწევრო ფული და ამ რიგად განეხორციელებინა საერთო სურვილი...

ეს იმიტომ გავიხსენეთ დღეს, რომ სოფ. ბაკურციხეში ამ რამდენისამე ხნის წინად შემთხვევით დავესწარით სოფლის მიწათ-მფლობელთა კერძო ყრილობას. ამ ყრილობაზე დიდი ლაპარაკი იყო იმაზედ, თუ რა ზარალი აქვს ყველას და მთელ სოფელს მიკიტან-ჩარჩებისაგან.

თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ როგორმე ვეცადნეთ და ავიცდინოთ თავიდამ მათი ცარცვა-გლეჯაო... ამის ერთად-ერთი წამალი საზოგადო დუქნის დაარსებაა და სწორედ, რომ ამ საზოგადო დუქნის ანუ «დეპოს» დაარსებაზედ უნდა ვიზრუნოთო. ამ ყრილობაზე თუმცა გადაწყვეტით არა ითქვა-რა, მაინც ულაგოდ არ მიგვაჩნია წინადვე ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზედ, — თუ რა მნიშვნელობა ექმნება სოფ. ბაკურციხეში „დეპოს“.

სოფ. ბაკურციხე მდებარეობს წინამხარში. მართალია, ეს სოფელი წინამხრის შუა-გული არ არის, მაგრამ მაინც მარჯვე და მოხერხებული ალაგია. ბაკურციხის დეპო მთელის წინა-მხრის ცხრა სოფლისა და ჩალაუბნის ვაჭრობას ხელში ჩაიგდებს.

ამას გარდა, თუ დეპოს რიგიანნი გამგენი ეყოლება, უსათუოდ თვით უკანა-მხრის სოფლებიც აქ დაიწყებენ ვაჭრობას.. თუ კი „დეპოში“ თვით სიღნაღის მაზანდაზე ნაკლებ გაიყიდება ყოველივე სავაჭრო, რასაკვირველია, სიღნაღს მაგრე რიგად აღარ მიეტანება წინა-მხრისა და უკანა-მხრის ხალხი.

სოფ. ბაკურციხის დეპოს კიდევ ის უპირატესობა ექნება, რომ იქ შეუძლიანთ სავაჭროში ნაღდის ფულის მაგიერ, ჭირნახულიც აიღონ. სოფლის ნაწარმოების ნაღდ ფულად გადაქცევა აქ ძნელი არ არის. მას შემდეგ, რაც სოფ. ჩალაუბნის ხევზე გაკეთდა საფოსტო გზა, კახეთიდამ ზაქათალასა და ნუხის მაზრიდამ ტფილისში მიმსვლელ-მომსვლელნი ბაკურციხეზე დადიან, თვით ბაკურციხეც ისეთი მოხერხებული ადგილია, რომ მიმსვლელ-მომსვლელნი უსათუოდ აქა დგებიან ღამე.

დეპოს საქმე თუ რიგიანად წავიდა, შეუძლიანთ დეპოსთან იქონიონ ორი ოთახი მგზავრთა სადგურად და აგრეთვე ალაგი ურემ-ფურგუნ-ეტლების დასაყენებლად. აი ამ მგზავრებზედ შეუძლიანთ გაანაღდონ სოფლის ნაწარმოებიცა.

ბაკურციხის ორი მედუქნე ოც-და-ათ თუმნამდე მარტო დუქნის ქირას იხდის; ცხადია, რომ ამ მედუქნეებს შესაფერი შემოსავალიცა აქვთ. ამის შემდეგ ნუ თუ აქ დეპო ვერ იხეირებს?! ერთის სიტყვით, თუ ბაკურციხელების სურვილი განხორციელდა და როგორმე ლაპარაკი საქმედ იქცა, დეპო უეჭველია რიგიანადაც იწარმოებს, სარგებლობასაც დიდს შესძენს და ჩარჩებისაგანაც დაიხსნის მთელს წინა-მხარსა.

ი. კახელი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Моск. Вѣд.“-ი ყველაზე ბევრს ლაპარაკობს ბოლგარიის არეულობის გამო. გაზეთი სჭექს, ჰქუხს და აჩვენებს ბოლგარიის მთავრობას. ერთის სიტყვით, გაზეთის მოთმინება სრულიად საზღვარს არის გადასული. მაგრამ ამასთანავე ამ გაზეთში ერთი ადგილიც შეგვხვდა, რომელიც ყურადღების ღირსად მიგვაჩნია.

რა ჰსურს პოლიტიკას, რა აქვს საჭეში? რისთვის ჰრევს, სწეწავს საქმეებს ბალკანიის ნახევარ კუნძულზე, რისთვის ჰბადავს შფოთსა და შულლსა ამ უბედურ ქვეყანაში, ბოლგარიაში? რის იმედი აქვთ ამ პოლიტიკის მეთაურებსა? ვითომ სინიდისი არა სტანჯავთ, არ ამხელთ, რომ განურჩევლად ყოველს ღონის-ძიებას ხელს ჰკიდებენ? მერე რითი იმშვიდებენ სინიდისს, რომ ასეთს ბოროტ-მოქმედებას, ავ-კაცობას, ავაზაკობას, როგორიც დღეს ბოლგარიაში მოხდა, ხელს უწყობენ, ამათ ჩამდენს ხელს აფარებენ, განგებ აქეზებენ? ნუ თუ განათლებამ, რომლითაც ასე თავი მოაქვს ახლანდელ დროს, ან ნუ თუ ცხოვრების გამოცდილებამ მაინც ჭკუა არ ასწავლა იმათ, ვინც მაღლა დგანან და ერის ბედ-ბედს ხელში ატრიალებენ? ნუ თუ ამათ აქამდინ არ ესმით, რომ მარტო ისეთ გამგეობას მოსდევს კარგი და კეთილი ბოლო, რომელიც ბუნებისა და სიმართლის წინააღმდეგი არ არის, რომ ძალ-დატანება, ცბიერობა, მოტყუილება მარტო უბედურებას დაჰბადავს და სიკეთეს კი ვერავის მოუტანს. ამისთანა გამგებლები მარტო საქმეს წაახდენენ და ბოლოს შერცხვენილნი, შეფურთხებულნი უკანვე დაიწევენ.

სრული ჭეშმარიტებაა! ასეთის მართალის თქმა ხშირად მოუვა ხოლმე ამ გაზეთსა...

---

— აგი იქით იყოს, თვალ-ხარბი იყო, თვალ-ხარბი; კარის მეზობლის პირში ლუკმა შურდა; ამყრალებული იყო სოფელი იმისაგანა... ჰო და! საფლავიც იმითანა უმაძღარი დახვდა... შავი მიწითანა სულ ტყუილია, ისე გადაავლებს ხოლმე ჩალასა, რო სუ ერთ ბარაში გამოიყვანს ხოლმე...

— ე ქვაზე რო იჯექი, ეხლა წამოახედა, რამდენს წამოგიტიალებს მა კოსროში... ეხლა კი ზედ აზიხარ... თუ ასეა, მა რათ არის კაცი გაუმაძღარი, მეზობლის მტერი...

— ეგ იმიტო, ჩემო პეტრე, რო სიკვდილი არ გვახსოვს... ღმერთი კი დიდია, ყველას ჰხედავს და ვინც აქ ვერა ძლება, იქ შავის მიწით უვსებს თვალებსა... კიდე კარგი, რო იქ სუ კუპრის ქვაბში ეყრებიან ამითანა ხალხიო; ყელზე გველები შემოეხლაკნებიან და ხორცს დაუწყებენ გლეჯვასაო.

— ჰეჰეი, ეჯააა!! მა ი ფიდოს, ლალიანთ ფიდოსა, ე საფლავი რო ჩაენგრა, მგონი სუ ყირა-ყირა ჩააგდებენ ჯოჯოხეთის ალშია.

— მა, მა! სთქვეს მეზობლებმა, რომლებიც საყდართან მოვიდნენ აღმოსავლეთის მხრიდამ და მესაფლავეებს ზედ წამოადგნენ.

— იქ სუ ცეცხლი-გენია ანთიაო, დიდრონი საკირეების ტოლაო და აიყვანენ და ჩაიყვანენო; მერე ისევ მოარჩენენ, მერე გაფისავენ, წაუკიდებენ ცეცხლსაო და ისე დაარბევინებენო, დაუმატა ერთმა მეზობელთაგანმა.

— მე იქ ვერას გავძლებ... იი, რა ძნელი იქნება, სთქვა მესაფლავე პეტრემა.

— ჰო და, ნუ იქმ ცუდ-კაცობასა და სამოთხეში დაგაბძანებენ. ე ვისია, რო ჩანგრეულა?

— ეს საფლავი ლალიაანთ ფიდუასია, ისა კი, ნინიკამ რო გათხარა, ტატესია. ჰჰ! ამოიოხრა მესაფლავემა.

— აქ სძულდათ ერთმანეთი და საიქიოსაც ერთად წავიდნენ საჩხუბრათა; გაგიხარიან, ტატემ იქ იყაროს მაგის ჯავრი; იქაც ხო არავინ გამოექომაგება, იხუმრა ნინიკამ.

— ცოტა ეშმაკის ჯარი ეყოლება იქა ფიდუასა! — სთქვა პეტრემ.

— ეშმაკის ჯარს რა უნდა?

— ის უნდა, რო ფიდო ქვეყნის ამომგდები და ამამტუტებელი იყო და მა ეშმაკები არ წაიყვანენბენ და ი საკირეში არ დასწვენ იმის სულსა?

— საწყალი ტატე... მწარა! შვილოსა, ჩვენ იმ კაცის ფასი არ ვიცოდით: სოფლისა არა შეუჭამია-რა, არა მოუპარავს-რა, არავისთვის ცუდი არ უქნია და ავყიასა და სისხლის გუდას ვეძახდით... ყველასთვი გული შეტკიოდა; შენი კარის-მეზობელს ნუ აწუხებ, ზარალს ნუ აძლევო, — სუ ეს იყო იმის სატირალი და საყვირალი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, რო ი სულით განათლებული ტატეი სუ სოფლის ზრუნვაში იყო; ცოდოს ვერ ვიტყვით. აკი იმიტომაც სოფელმა მისცა სამარხი...

— სამარხი რა არის; საქმე ის იქნება, ცოლ-შვილი გავათარხნოთ, მინამ შვილი მოესწრობოდეს ტატეს ქეთესა.

— მა, უნდა გავათარხნოთ, მა! აი კვირას ხალხი შევყაროთ და დავდოთ, რო იმის წილ ყველა საქმესა სოფელი გაიწერს... რა საჭიროა, ძმაო, ტატე რაკი მოკვდა, ეხლა ჩვენ სოფელს ღმერთი ველარ გაიმაგრებს, ღმერთი. მაგითანა მეველეი, ეჰეი!.. ბა, ბა, ბა! ჩიკრიკი იყო, ჩიკრიკი ე სულით განათლებული.

— მა მეველეობამ მოიდნო კიდეცა... აი კიდეც მოასვენებენ... ეჰეი! დახე და ორთავეს ერთად არ მოასვენებენ ე.

— ფიდო ქვემო-უბნელის მღვდლისაა და ტატეი ზემო-უბნელისა და ერთს დროს გამოუსვენებიათ.

ტატე და ფიდო ერთს კვირაში დაიხოცნენ და ერთად გამოასვენეს დასამარხავად. შემოდგომაზე სადღაც გაციედა ტატე კახნიაშვილი, შეხვდა საოფლე და თან გაიტანა. მთელი სოფელი შეწუხდა, თითქო გულზე რაღაც მოსწყდა და დაალონა; მხოლოდ მაშინ იგრძნო ხალხმა, ტატე რა იყო იმათთვინა; ყველამ დაივიწყა წყენა და მიეცნენ დიდს მწუხარებასა; ყველას გული მოუკვდა და დაეთუთქა.

აგერ მოაქვთ ორი კუბო; ფიდო შეძლებული კაცია; თუმცა ლიტრის ხარჯს იღებდა, მაგრამ სამი ლიტრაც ცოტა იყო იმაზე; ასვენია იგი ქალაქ აღგილიდამ მოტანილს კუბოში; უკან დარბაისელი ხალხი მოსდევს; თითო-ოროლა იმ სოფლის თავადაზნაურებიც მოსდევენ ულვაშის გრეხით, მაგრამ წარბ-შეჭმუხვნილები-კი იყვნენ, რადგან დრო ამას მოითხოვდა.

ტატეს წიფლის ფიცრები გაუთალეს, შეუკრეს კუბო; თეთრის ამირიკანის სუდარაში წასუდრეს და ჩაასვენეს გახრეკილ კუბოში; კუბოს თან მოსდევს მთელი ამ სოფლის გლეხკაცობა, ქალი თუ კაცი.

ფიდოს კუბო აწეული მოაქვთ; ხან-დის-ხან კეთილ-შობილებიც სწევენ.

წიფლის კუბო ტატესი სძევს საკაცეზე და ისრე მოაქვთ.

ფიდოს წყნარად სტირიან ცოლშვილი. ტატეს ცოლს თავი მოუგლეჯნია, თმა გაუწეწნია, გაჰკივის საბრალოდ; ჰაერი ირყევა, ჰკვნესის და მიაქვს შორს — შორს ეს საზარელი გლოვის ხმა.

ჩაუშვეს ცივს სამარეში ფიდო ლალიაშვილი, მიაბარეს საუკუნოდ განსასვენს ალაგსა. ტატეს საფლავს ჭიანჭვლის გორასავით დაედო ხალხი; ყველას ცრემლი მოეგუბა თვალში და დაბნია წიფლის ფიცარზე, ტატეს საუკუნო სახლზე. მისი გაგლეჯილი ცოლი თავს სცემდა საკაცეზე, უხვად აბნევდა მდუღარე ცრემლს ქმარსა ცივს მკერდზე, მაგრამ ვერა უშველა-რა. მუჭა-მუჭა მიაყარეს მიწა და თავსა და ბოლოს დიდი ქვები ჩაუსხეს. დამარხეს მეველე ტატე, სოფლის ერთგული, მოძმეებისათვის თავ-განწირული, მათთვის მკვდარი. რამდენსამე წამს გულ-ხელ დაკრეფილი, თავ-ჩაქინდრული იდგა ტატეს საფლავის წინ ხალხი, მდუმარედ და უხვად აბნევდა მდუღარებას მის ცივს საფლავზე... გული გულად რჩება: ხალხი ვერა შორდებოდა სამარესა და თითქო ჰსურდა ტატესთან დამარხულიყო.

ს. მგალობლიშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს.

თქვენს გაზეთში იყო ორი წერილი, რომელიც მომართულია ჩემდამი. პირველი ბ-ნის ვეზირიშვილისა და მეორეც მოსკოველ სტუდენტისა,--მისაყვედურებენ რომ დროზედ ვერ შევუსრულე მათ დავალება—ვერ გავუგზავნე მათგან დაკვეთილი წიგნები. ბოდიშს გიხდი ბ-ნ ვეზირიშვილის სამართლით საყვედურის გამო, მაგრამ თანაც დავუმატებ, რომ ამ დაგვიანების მიზეზი მარტო ჩვენი დაუდევრობა არ არის. ხშირად მოგვთხოვენ ხოლმე ისეთს წიგნს, რომელიც იმ დროს ჩვენ არ მოგვეპოება და ამიტომ იძულებულნი ვართ მივმართოთ ხოლმე თვით გამომცემელს ან იმ წიგნთ-საწყობს, სადაც აწყვია გასასყიდად, რის გამოც ასე თუ ისე გვიანდება გაგზავნა.

რაც შეეხება მეორე წერილს, ამაზედ კი სინიდისის ქვეშ ვიტყვით, რომ გაგზავნილია და, თუ არ მიუღია, ამაში ჩვენ არავითარი ბრალი არა გვაქვს: ხშირად, რომელისამე წიგნის დაბარების დროს, გზავნიან მხოლოდ იმ საფასურს, რამდენადაც წიგნი ღირს და ამიტომ იძულებულნი ვართ, გავგზავნოთ უბრალო ბანდეროლით, კვიტანციის მიუღებლად; და, თუ რა მოსდის ამ რიგად გაგზავნილ წიგნს—ჩვენ რა პასუხის გებაში ვართ. ერთად ერთი ჩვენი შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში მოგვივიდა, ის არის, რომ წინადვე არა გვქონდა გამოცხადებული საზოგადოდ, რომ წიგნების დამბარებელთ ღირებულის ფასისათვის დაემატებინათ გასაგზავნი ფასიც. მაშინ ჩვენ შეგვეძლო კვიტანცია გვქონოდა და, თუ ვინიცობაა, მთხოვნელი წიგნს ვერ მიიღებდა, ჩვენც გაგებდით პასუხსა.

გრ. ჩარკვიანი

P. S. ვთხოვთ ყველა იმათ, ვინც-კი რომელსამე წიგნს დაიბარებს ჩვენგან, სახეში იქონიოს უკანასკნელი ჩვენი შენიშნვა.

გ. ჩ.

---

## გასართობი

ქებაც ახეთი უნდა! ერთი კარგი მემუსიკე და ნოტების მთხზველი გვარად გაიდნი შევიდა ლონდონის სამუსიკო მაღაზიაში და სთხოვა ვაჭარს, ახალი ნოტები ხომ არა დაწერილა-რა, მომყიდეთო. ვაჭარმა ბევრი ათვალიერა ნოტები და ბოლოს გადმოუღო ისევ გაიდნისავე შეთხზული პიესა და დაუდო წინ.

— არა, ეგ არ მინდა, უთხრა გაიდნმა გულ-გრილად,—იქნება სხვა რამე გქონდეთ. ვაჭარს გული მოუვიდა, წაჰგლიჯა ხელიდამ ნოტები გაიდნსა და უთხრა:

— თუ გაიდნიც არაფრად მიგაჩნიათ, მაშ, გეტყობათ, თქვენ თითონაც არ იცით, რა გინდათო.

გაიდნს ძალიან იამა ასეთი ქება თავის ნაწერისა და კმაყოფილი გამოვიდა მაღაზიიდამ.

**

**ქურდი როგორ იპოვეს.** ერთს სასტუმროში ვერცხლის კოვზი დაიკარგა იმ დროს, როცა სტუმარნი სადილობდნენ საერთო სტოლზე. სასტუმროს პატრონს უთხრეს, რომ გასინჯე ყველა და იპოვი დანაკარგსაო, მაგრამ სასტუმროს პატრონმა არ მოინდომა: რა სასიამოვნოა, ჩემს სტუმრებს ჯიბეების ჩხრეკა რომ დავუწყოვო.

— მე ისევ სხვაფრივვიპოვნი კოვზსა, მხოლოდ გთხოვთ ყველას, ერთს წუთს თავი სტოლ ქვეშ ჩაჰყოთო, სთქვა სასტუმროს პატრონმა.

ყველამ შეასრულა ეს თხოვნა. მაშინ ხმა მაღლა დაიძახა მოხერხებულმა სასტუმროს პატრონმა:

— აბა, ბატონებო, ყველას თავი სუფრასა და სტოლ-ქვეშა გაქვთ, თუ არა?

— დიაღ, ყველასა, უპასუხეს სტუმრებმა.

— იმის თავიც სტოლ ქვეშ არის, ვისაც კოვზი აქვს ჯიბეში?

ქურდმა უნებლიედ წამოიძახა:

— დიაღ! იმისიცაო.

---

# დეპეშა

4 მარტი

**კალკუტა.** რადგან მოხსენდნელია, რომ ავღანისტანში საქმე აირევა, ინდოეთის მთავრობას განზრახვა აქვს პიშინის სამზღვარზე ჯარები გაჰგზავნოს თვალ-ყურის დასაჭერად. თვით ავღანისტანში ჯარების შეყვანას მთავრობა არა ჰფიქრობს. იმედი აქვთ, რომ ჯარების ყოფნა სამზღვრებთან გაამხნევებს ემირის მომხრეებსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3-ს მარტს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 22 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178¹/₄ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 245¹/₄ |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 231 |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძ ვ ე ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-14,

ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ა ხ ა ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-4,

ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ა ღ დ გ ო მ ა—5 აპრილს, ა მ ა ღ ლ ე ბ ა 14 მაისს, ს უ ლ ი ს წ მ ი ნ დ ი ს მოსვლა 24 25, პ ე ტ რ ე - პ ა ვ ლ ე ს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

**6 დღე პარასკევი.** წმ. 42 მოწამეთა. დედოფალმა ელენემ ჰპოვა ჯვარი პატიოსანი და ლურსმები იერუსალიმში მე-IV საუკ. კათოლ. ვიქტორიასი. სომეხ. მე-19 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გაიმართა პირველი სამეურნეო გამოფენა ტფილისში, 1850 წ. ჭეშმარიტი შ-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—7. ჩადის 6—11. მთვარე 24 დღისაა.

**7 დღე შაბათი.** წმ. შვიდთა მღვდელ-მოწამეთა ვასილისა და სხვ. კათოლ. თომასი და ფელიციტასი, სომეხ. წმ. იოანე იერუსალიმელისა, მამა-მთავართა: იოანე ოძნელისა, იოანე ვორატნელისა, გრიგოლ ტათეველისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 6—12.

**8 დღე კვირა.** წმ. თეოფილაქტე და თეოდორიტესი. კათოლ. იოანნისა. ფილიმონისა და ბეატისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 6—13.

**9 დღე ორშაბათი.** წმ. ორმეოცთა ყრმათა სებასტიას წამებულთა. კათ. ფრანცისკისა. მუსულ. ნავრაზობა, ახალი წელიწადი (შიიტის მოძღვრ.) ქართლნი ლეკნი დამორჩილდნენ რუსეთს, 1803 წ. ბელაქანი დაპყრობილ იქმნა. ყარაიაზის არხი გაიჭრა, 1867 წ.—თამბაქოს ბაჟი დაედო ამიერ-კავკასიაში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 6—14. მთვარე 27 დღისაა. გაზაფხული იწყება და დღე და ღამე სწორდება.

**10 დღე სამშაბათი.** წმ. კონრადისა. კათოლ. გერმანისა. სომეხ. მე-23 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15. მთვარე 28 დღისაა.

**11 დღე ოთხშაბათი.** წმ. სოფრონისა. კათოლ. ევლაგიასი და პელაგიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16.

**12 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა თეოფილესი. კათოლ. გრიგოლისა და თიბერიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. შობა მთვარისა 7 საათსა და 14 წუთზედ საღამოს.

**13 დღე პარასკევი.** ნიკიფორე პატრიარხისა. კათოლ. ეკატერინესი, ხრისტინასი და ზზიგნევასი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება მე-5 იმამის მამედ ბენი-ალისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 6—18.

**14 დღე შაბათი.** ღირსისა ბენედიქტესი. კათოლ. მატილდასი, ზაქარიასი და პეტრესი. სომეხ. წმ. 40 ყრმათა სებასტიელთა. დამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ წესდება კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებისა, 1873 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—53, ჩადის 6—20. მთვარე 3 დღისაა.

**15 დღე კვირა.** წმ. მოწ. აღაპისა და ექვსთა მოწამეთა. მე-5 კვირა დიდ-მარხვისა. კათოლ. ლონგინისა და ლუკრეციასი. სომეხ. მე-28 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვლა იმამის ალი-თალიასი (შიიტებს).

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. საბიანესი. კათოლ. იულიანისა და გელიარიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 6—22. მთვარე 5 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. გერტრუდიასი და პატრიკიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. კირილე იერუსალიმელისა. კათოლ. ედუარდისა და იუსტასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მურისა (შიიტ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24.

**19 დღე ხუთშაბათი.** მოწ. ქრისანფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. რაჰაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| » 2 » | 2¹/₂ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3¹/₂ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | 3¹/₂ | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| სუკი. . . . | 14 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატომიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

---

## კერძო განცხადებანი

გამგეობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აქამდის ითხოვეს მასწავლებლობის ადგილი ს. ხელთუბნის სკოლაში და ამის შემდეგაც ითხოვენ, უნდა 9 მარტამდე წარმოუდგინონ გამგეობას ოქმები მის შესახებ, თუ ვის რა სწავლა მიუღია; ხოლო 9 მარტს ამა წლისას გამოცხადდნენ ტფილისის სააზნაურო სკოლაში სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად

(3—3)

---

### ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—35)

Дов. ценз. Тиф. 5 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე